სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

16 თებერვალი, 2024 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/22

ბსუ-ს სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21–ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის", ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის", ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 ივლისის N54 დადგენილებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესის", ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის (MES 3 24 0000133212, 08.02.2024) და აკადემიური საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. დამტკიცდეს **,,ბსუ-ს სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი"** (წინამდებარე დადგენილების **N1 დანართი**).
2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (საუნივერსიტეტო ნორმატიულ აქტებში, სტუდენტთა გზამკვლევში).
3. დადგენილება ეცნობოს სტუდენტებს სტუდენტური პორტალის მეშვეობით.
4. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი

მერაბ ხალვაში

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის
16 თებერვლის N06-01/22 დადგენილების
N1 დანართი

ბსუ-ს სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1.1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი ან ,,ბსუ“) სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებს და უზრუნველყოფს სტუდენტის ინტერესებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებას.

1.2. წესი შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს წესდების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესის“ და ,,ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ საფუძველზე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1. **ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (შემდეგში -,,ისგ“)** – სასწავლო კურსების ერთობლიობა, რომელიც შედგენილია სტუდენტის ინტერესების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად და უზრუნველყოფს მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში;

2. **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები** - გულისხმობს სწავლის სირთულეებს ან შეზღუდულ შესაძლებლობას სწავლის პროცესში, რომელსაც აწყდება სტუდენტი და რომლის დაძლევაც უჭირს სპეციალური დახმარების გარეშე. სტუდენტთა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებში ერთიანდება სასწავლო პროცესის ინდივიდუალურად წარმართვის საკითხები, კერძოდ: დროის დაგეგმვა, კურსის განხორციელების თავისებურებები (კურაციული სწავლება და სხვა), შეფასების კომპონენტი (შესაძლებელია მოდიფიცირდეს საჭიროებებიდან გამომდინარე), გადაადგილების შესაძლებლობა და სხვა.

თავი II.
სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა და შეფასება

მუხლი 3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა

3.1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის, ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული, გაცვლით პროგრამაში მონაწილე, მობილობით/შიდა მობილობით ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე გადმოსული/ჩარიცხული სტუდენტებისთვის, აკადემიური ჩამორჩენილობის ან განსაკუთრებული აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტებისთვის (სტუდენტის

ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური მდგომარეობა, სპორტში და ხელოვნებაში განსაკუთრებული მიღწევების მქონე სტუდენტისთვის, ასევე, მათთვის, ვინც აგრძელებს სწავლას იმ პროგრამით, რომელმაც განიცადა მოდიფიცირება და სხვა).

3.2. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში უნდა მიეთითოს სასწავლო კურსის/კურსების სახელწოდება, კრედიტების მოცულობა, სწავლების სემესტრი, სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო ფორმები და პირობები, სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის საჭირო განსხვავებული მოთხოვნები მატერიალური რესურსის მიმართ და სხვა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შინაარსი და სტრუქტურა დამოკიდებულია სტუდენტის საჭიროებებზე. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ასევე უნდა მოიცავდეს სასწავლო ცხრილს (სასწავლო კურსის დაწყებისა და დასრულების დროისა და ვადების მითითებით), რომელიც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განუყოფელი ნაწილია.

3.3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირების საჭიროებას ადგენს უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტი, სემესტრის დასაწყისში, აკადემიური რეგისტრაციის ვადებში, ამ მიზნით შესაბამის კონსულტაციას უწევს სტუდენტს. სტუდენტი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის თაობაზე სტუდენტური პორტალის მეშვეობით განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს. სტუდენტის განცხადებაში დასაბუთებული უნდა იყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება. განცხადებას თან უნდა ახლდეს შესაბამისი დოკუმენტაცია (დასაბუთების შინაარსის გათვალისწინებით/საჭიროების შემთხვევაში).

3.4. სტუდენტის განცხადებას განიხილავს და, საჭიროებისამებრ, ინდივიდუალური სასწავლო გეგმას შეიმუშავებს პირთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით განსაზღვრული პირები: სტუდენტი, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი, პროგრამის შესაბამისი სასწავლო კომპონენტის განმახორციელებლ(ებ)ი პირები, ფაკულტეტის ადმინისტრაციის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში შესაძლებელია, მონაწილეობდნენ სპეციალური კომპეტენციის მქონე პირი/პირები (ფსიქოლოგი, მედიკოსი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და სხვა). შემუშავებული ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა ფაკულტეტის დეკანის მიერ წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს.

3.5 სტუდენტის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

3.6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გასაცნობად გადაეცემა სტუდენტს.

3.7. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა შემუშავდეს სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ორი კვირისა (განხილული უნდა იქნეს ფაკულტეტის საბჭოს პირველივე სხდომაზე და დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად).

3.8. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აისახება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ჟურნალში.

მუხლი 4. შეფასების სისტემა

4.1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებისა და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

4.2. სტუდენტის საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს შეფასების განსხვავებული ფორმატი (მაგალითად: დავალების/გამოცდის ფორმის შეცვლა,

ელექტრონული გამოკითხვა, შეფასების ხანგრძლივობის ვადის გაზრდის/გადავადების შესაძლებლობა და ა.შ.)

მუხლი 5. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულება

5.1. ფაკულტეტი ადმინისტრირებას ახდენს და აღრიცხავს სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების პროცესს.

5.2. სტუდენტი ვალდებულია შეასრულოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ყველა მოთხოვნა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმით დადგენილი მოთხოვნებისა და ვადების ხშირი/რამდენიმე დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტი მომდევნო სემესტრში კარგავს შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

5.3. ფაკულტეტის ადმინისტრაცია მონიტორინგს უწევს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებას, რის საფუძველზე ადგენს ანგარიშს და წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს.

მუხლი 6. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანა, გაუქმება

6.1. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია სტუდენტის პირადი განცხადების საფუძველზე ან ფაკულტეტის დეკანის ინიციატივით.

6.2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში შესატან ცვლილებებს ამზადებს დეკანის ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო ჯგუფი და ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ცვლილებებს ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

6.3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

თავი III. დასკვნითი დებულებები

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

7.1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესს ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

7.2. წინამდებარე წესის გაუქმება, მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.